1969/3

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (341)

1969 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (341) ივნისი 1969 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

118. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კასპის რაიონის ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ.

119. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების კასპის რაიონის ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

120. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. ა. ა. გიგოშვილის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

121. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

122. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

123. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

124. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

125. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

126. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სასჯლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

127. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

128. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის განყოფილებისა და საბინაო და საავარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

129. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე, 81-ე 102-ე და 104-ე მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

130. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრისა და უწყების ხელმძღვანელის გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

131. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ დ. დ. დიასამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

132. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ვ. ა. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

133. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ თ. ი. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

134. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ზ. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

135. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ დ. გ. აბუთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

136. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ნ. დ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

137. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ გ. ლ. ნადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

განყოფილება მეორე

138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. რაზმაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. კალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. სიმონიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. იურისინოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. პაპიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ზ. გობეჯიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

118 კასპის რაიონის ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ნაცვლად გასული დეპუტატისა კასპის რაიონის ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქში კვირას, 1969 წლის 6 ივლისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 4 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

119 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების კასპის რაიონის ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39-ე, 40-ე და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების კასპის რაიონის ყარაღაჯის № 86 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ხათაშვილი ვახტანგ კონსტანტინეს ძე — კასპის რაიონის ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ბერიაშვილი ირაკლი ვლადიმერის ძე — კასპის რაიონის ყარაღაჯის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი

დემეტრაშვილი თამარ იოსების ასული — კასპის რაიონის სასირეთის საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ხორგუაშვილი მარიამ ბატონას ასული — კასპის რაიონის დოესის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

უხურგუნაშვილი ანა სოლომონის ასული — კასპის რაიონის დოესის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

სირანაშვილი სონია ვასილის ასული — კასპის რაიონის ყარაღაჯის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ლაგრაძე ლიდა იოსების ასული — კასპის რაიონის ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

გივიშვილი ალექსანდრე ილიას ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის კასპის რაიონის ქსნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ირემაშვილი თევდორე სიმონის ძე — კასპის რაიონის ქსნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

120 საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის ამხ. ა. ა. გიგოშვილის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. არჩილ ალექსანდრეს ძე გიგოშვილი საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 25 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

121 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. გიორგი ივაკლის ძე ჩოგოვაძე საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 25 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

122 ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

ითვალისწინებს რა ნარკომანიის საზოგადოებრივ საშიშროებას, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა და მშრომელთა კოლექტივების თხოვნას ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ იმ პირს, რომელიც ხმარობს ან შეეცდება იხმაროს ნარკოტიკული ნივთიერებანი ექიმის დანიშნულების გარეშე, მოსამართლის დადგენილებით შეუფარდებენ პატიმრობას ვადით 10 დღიდან 15 დღემდე.

მასალებს ასეთი პირის შესახებ ერთპიროვნულად განიხილავს სახალხო მოსამართლე დღე-ღამის განმავლობაში ამ მასალების მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან (სამმართველოდან) მიღების შემდეგ.

თუ დადგინდა, რომ ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაკავებული პირი არის ნარკომანი და თავს არიდებს მკურნალობას, იგი უნდა გაიგზავნოს იძულებით სამკურნალოდ „ნარკომანების და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად.

2. ნარკოტიკული ნივთიერების ხმარება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მასალები იმ პირის შესახებ, რომელსაც არ შესრულებია თექვსმეტი წელი და ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებას, გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ამ პირის მკურნალობისათვის სათანადო ზომების მისაღებად, მისი ქცევისადმი კონტროლის დასაწესებლად და მშობლების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის განსახილველად.

4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებები:

კოდექსის 63-ე, 230-ე, 252-ე და 253-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 63. ალკოჰოლიკისა და ნარკომანის იძულებითი მკურნალობა

თუ დანაშაულის ჩამდენი პირი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდება ალკოჰოლიკი ან ნარკომანი, სასამართლო დამნაშავეს სასჯელთან ერთად შეუფარდებს იძულებით მკურნალობას.

თუ ალკოჰოლიკს ან ნარკომანს ჩადენილი დანაშაულისათვის შეეფარდება სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, იგი იძულებითი მკურნალობისათვის იგზავნება სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში;

ხოლო თუ სასჯელის ზომად გამოყენებული იქნა თავისუფლების აღკვეთა — მსჯავრდებული მკურნალობას გაივლის სასჯელის მოხდის დროს, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების შემდეგ კი — მკურნალობა, თუ ეს საჭიროა, გაგრძელდება სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში.

ალკოჰოლიკის ან ნარკომანის იძულებითი მკურნალობა შეწყდება სასამართლოს დადგენილებით, იმ დაწესებულების წარდგინების საფუძველზე, სადაც პირი იმყოფება სამკურნალოდ“.

„მუხლი 230. ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის ან გარყვნილების ბუდის მოწყობა და მაჭანკლობა

ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის, აგრეთვე გარყვნილების ბუდის მოწყობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ქალების მიზიდვა გარყვნილებისათვის, აგრეთვე მაჭანკლობა ანგარების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ“.

„მუხლი 252. ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადება ან გასაღება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შეძენა, შენახვა, ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შეძენა, შენახვა, ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან გასაღება, ჩადენილი დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელმაც სასჯელი მოიხადა ასეთივე დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“.

„მუხლი 253. ხაშხაშის ან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვა

ხაშხაშის ან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვა სათანადო ნებართვის გარეშე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნათესების კონფისკაციით“.

დავამატოს კოდექსს 252^1, 252^2, 252^3 და 252^4 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 252^1. ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება, თუ ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს უფრო მძიმე სასჯელს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

„მუხლი 252^2. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი მას შემდეგ რაც ასეთივე ქმედობისათვის დამნაშავის მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

მუხლი 252^3. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე სრულწლოვანი პირის დაყოლიება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 252[4]. იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება

სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში ნარკომანის ან ალკოჰოლიკის მიერ იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება, ან რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე".

კოდექსის 39-ე მუხლის მე-12 პუნქტს სიტყვების: „მთვრალი იყო" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ან იმყოფებოდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ".

კოდექსის 25-ე, 44-ე და 54-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „(252-ე მუხლის პირველი ნაწილი)" და მათ ნაცვლად ჩაიწეროს სიტყვები: „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი), ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებისათვის (252[1] მუხლი)" ამავე მუხლებს სიტყვების: „(228 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი)" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის ან გარყვნილების ბუდის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი)".

5. შეტანილ იქნეს ცვლილება და დამატება „ნარკომანების და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მე-3 მუხლში: სიტყვის „არასრულწლოვანებს" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „რომლებსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებიათ".

ამავე ბრძანებულების მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში ნარკომანის ან ალკოჰოლიკის მიერ იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება ან რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევა იჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

123 წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

წვრილმან სპეკულაციასთან, ე. ი. გამორჩენის მიზნით კერძო პირების მიერ ფართო მოხმარების საგნების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, სასაქონლო დოკუმენტების, სანახობით დაწესებულებათა ბილეთების, წიგნების, ნოტების და სხვა ფასეულობათა მცირე ოდენობით შესყიდვასთან და გადაყიდვასთან ბრძოლის გასაძლიერებლად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს;**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესდეს, რომ წვრილმანი სპეკულაცია, თუ იგი ჩადენილია პირველად, ისჯება პატიმრობით ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე, ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე, სპეკულაციის საგნების კონფისკაციით.

2. წვრილმანი სპეკულაციის მასალებს ერთპიროვნულად განიხილავს სახალხო მოსამართლე დღე-ღამის განმავლობაში ამ მასალების მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან (სამმართველოდან) სასამართლოში მიღების შემდეგ. სპეკულაციის ჩამდენი პირის თანდასწრებით და საჭირო შემთხვევებში გამოიძახებს მოწმეებს.

3. სახალხო მოსამართლის დადგენილება წვრილმანი სპეკულაციის გამო ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ საბოლოოა, მისი გასაჩივრება არ შეიძლება და დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

4. სახალხო მოსამართლეს შეუძლია, დამრღვევის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი გადაცდომის ხასიათის გათვალისწინებით, დამრღვევის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად მასალა განსახილველად გადაუგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს ან ამხანაგურ სასამართლოს, რომლებიც დამრღვევის მიმართ გამოიყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს. ადმინისტრაცია ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოვალეა ათი დღის ვადაში აცნობოს სახალხო მოსამართლეს დამრღვევის მიმართ მიღებული ზომების შესახებ.

ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების ყველა შემთხვევას სახალხო მოსამართლე აცნობებს ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დამრღვევის მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. წვრილმანი სპეკულაციისათვის დაპატიმრებული პირები პატიმრობას მოიხდიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. დაპატიმრებულთ გადახდებათ კვების და რჩენის ღირებულება; პატიმრობაში ყოფნის დროს არ ეძლევათ ხელფასი მუდმივი მუშაობის ადგილზე.

დაპატიმრებულთ შრომის აუნაზღაურებლად იყენებენ ქუჩების, ეზოების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების დასასუფთავებლად და სხვა ფიზიკურ სამუშაოზე. წვრილმანი სპეკულაციისათვის დაპატიმრებულ პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ეკისრება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

6. თუ დაპატიმრებულმა თავი აარიდა პატიმრობის მოხდას ან ბოროტად დაარღვია დაწესებული რეჟიმი, პატიმრობის ადგილის ადმინისტრაციის ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსის წარდგინებით სახალხო მოსამართლეს შეუძლია დამრღვევს გაუგრძელოს პატიმრობის ვადა. ამასთან, წვრილმანი სპეკულაციისათვის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ დღეს.

7. წვრილმანი სპეკულაციისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნენ ის პირნი, რომელთაც ასეთი გადაცდომის ჩადენამდე შეუსრულდათ 16 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ამ მუხლებულების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წვრილმანი სპეკულაცია, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავის მიმართ ასეთივე მოქმედებისათვის გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 ივნისი.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

124 რესპუბლიკაში მასობრივი ფიზიკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ გ. ვ. სიხარულიძის მოხსენება „რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ პ. გ. გელბახიანის თანამოხსენება, აღნიშნავს, რომ ასოულებენ რა სკკპ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების გადაწყვეტილებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ, რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის სწრაფ ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ხალხის დაინტერესება ფიზკულტურითა და სპორტით, ამაღლდა სპორტულ მიღწევათა დონე, გაუმჯობესდა კადრების კვალიფიკაცია, იმატა სპორტულ ნაგებობათა რაოდენობამ.

დღეისათვის ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 24,1 პროცენტი. მარტო მიმდინარე ხუთწლედის ოთხ წელიწადში მომზადდა საერთაშორისო კლასის 60 სპორტის ოსტატი და 873 სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სპორტის ოსტატი. 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო, ევროპასა და საბჭოთა კავშირის პირველობებზე საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 40 ოქროს, 37 ვერცხლისა და 44 ბრინჯაოს მედალი. საგრძნობლად გაიზარდა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვი, სადაც დანერგილია საწარმოო ტანვარჯიში.

გაიშალა სპორტული მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით; ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბები „ლილა", „გაზაფხული", „მერცხალი" და „რიონი", რომლებიც შექმნილია ქ. თბილისის ლიმის, საბურთალოსა და ვარკეთილის საცხოვრებელ მასივებში, ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დასახლებაში, ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობას ეწევიან ბოსახლეობის გაჯანსაღებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორის საქალაქო, აგრეთვე ზუგდიდის, სამტრედიის, ქობულეთის, მახარაძის, ხაშურის, თელავის, გაგრის, კასპის, გარდაბნისა და სხვა რაიონულმა საბჭოებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა და დახმარება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი, დიდი მუშაობა გასწიეს სპორტული ბაზების მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

ფიზკულტურული ორგანიზაციების კარგი მუშაობის მაჩვენებელია ისიც, რომ მასობრივ ფიზკულტურასა და სპორტში მოპოვებული წარმატებებისათვის რესპუბლიკამ მეათედ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი.

ამასთან ერთად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში არის არსებითი ნაკლოვანებები, გამოყენებული არ არის ის დიდი შესაძლებლობანი, რომელიც რესპუბლიკას გააჩნია.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გადაწყვეტილი უმთავრესი ამოცანა — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა შორის.

მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობისათვის არადამაკმაყოფილებლად იყენებენ კულტურისა და დასვენების პარკებს, ბაღებს, კულტურის სასახლეებს და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. ნელი ტემპით ვითარდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

არასაკმარისი ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების გაფართოებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში. მრავალ კოლექტივს არა აქვს სპორტული დარბაზი. რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული ფიზკულტურული და სპორტული თამაშობანი.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, სერიოზული ჩამორჩენაა სპორტის ზოგიერთ სახეობაში, განსაკუთრებით კი მძლეოსნობაში, ცურვაში, ვოლოსპორტში, წყალში ხტომასა და თანამედროვე ხუთჭიდში.

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაშია უმაღლესი სწავლებლები. არ ახორციელებენ საერთო სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას კოოპერირებული წესით.

განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს და სპორტული განხრით სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატებს რიგი ნაკლოვანებები აქვთ მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევისა და სპორტული მომზადების საქმეში. ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარით და სათანადო ბაზებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა მოსახლეობაში სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის ფართოდ დანერგვისათვის საჭიროებს შემდგომ გაშლასა და გაუმჯობესებას.

რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონული ცენტრის სპორტული ბაზები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფენ სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა მომზადებას.

რიგ ქალაქსა და რაიონში ცუდად იყენებენ არსებულ სპორტულ ნაგებობებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ (დმანისის, ბოლნისის, წალენჯიხის, ხობის, თიანეთის, თეთრი წყაროს, მაიაკოვსკის, ქარელისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცალკეული რაიონები). ცუდად მიმდინარეობს ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა; სისტემატურად არ სრულდება თბილისის საჰადრაკო-ალპინისტური კლუბის, დაბა ბაკურიანისა და ლესელიძის პანსიონატების, აგრეთვე სხვა ობიექტების მშენებლობის გეგმები; არადამაკმაყოფილებელია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს არ აქვთ დაწესებული სათანადო კონტროლი ბინის ქირის 2-პროცენტიანი ანარიცხებისა და არასაცხოვრებელი შენობების 5-პროცენტიანი გადასახადის დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე, რაც გათვალისწინებულია სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური და ადგილობრივი კომიტეტები, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოები და რესპუბლიკის საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ სპორტის წამყვან სახეობათა მასობრივი განვითარებისათვის, ნაკლებად ატარებენ ისეთ გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა: კროსები, ესტაფეტები, ლაშქრობები და ა. შ.; არ იჩენენ სათანადო ინიციატივასა და აქტივობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტაში.

ფიზკულტურის სპეციალისტთა კადრების მომზადება ვერ პასუხობს დღევანდელობის მზარდ მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სპეციალური ორგანიზაცია — „საქსპორტვაჭრობა“ და „ცეკავშირი“ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ ვაჭრობას და ფიზკულტურული ორგანიზაციების მომარაგებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ფორმით, ინვენტარითა და მოწყობილობით, განსაკუთრებით სოფლად.

რესპუბლიკის გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელევიზია, ქართველი მწერლები და დრამატურგები, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სპორტის პროპაგანდის საკითხებს; გამომცემლობები არ ითვალისწინებენ სპორტის პრაქტიკულ მუშაკთა, აგრეთვე ფიზიკულტურის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების გაზრდილ მოთხოვნილებას და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო-მეთოდური, პოპულარული და პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემას.

რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობასა და საწარმოო ტანვარჯიშში.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და აქტივის მონაწილეობით სისტემატურად შეისწავლონ და სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, სასოფლო ყრილობებსა თუ კრებებზე განიხილონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები. ამასთან ერთად დასახონ და კონკრეტული ღონისძიებანი გაატარონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) მეტი ყურადღება მიაქციონ მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით; კონტროლი დააწესონ იმ თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, რომლებიც გამოყოფილია სახლმმართველობების, საცხოვრებელ-საექსპლოატაციო კანტორების, კოლმეურნეობების, საწარმოების და სხვა ორგანიზაციების მიერ ფიზკულტურულ-მასობრივი და კულტურული მუშაობისათვის. სათანადო დახმარება გაუწიონ საწარმოებს, დაწესებულებებს, სახლმმართველობებსა და კოლმეურნეობებს ფიზკულტურის მეთოდისტებითა და სხვა სპეციალისტებით შტატების დაკომპლექტებაში;

გ) უახლოეს დროში მიაღწიონ იმას, რომ ყოველ სამრეწველო საწარმოსთან, კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან, დაწესებულებასთან, სასწავლებელთან თუ საცხოვრებელ მასივში მოეწყოს მარტივი ტიპის სპორტული ბაზები და გახადონ ისინი ახალგაზრდობის, მუშა-მოსამსახურეთა და მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების ნამდვილ კერებად. ამასთან, მკვეთრად გააუმჯობესონ არსებული სპორტული ბაზების, ბაღებისა და პარკების გამოყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება სხვადასხვა ფიზკულტურული შეჯიბრებისა და ღონისძიების ჩასატარებლად;

დ) მეტი ყურადღება მიაქციონ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, სასწავლებლებს კოოპერირებული წესით სპორტული ბაზების მშენებლობაში. ამ დანიშნულებით უფრო მეტად გამოიყენონ თანხები ადგილობრივი ბიუჯეტების ჯარი შემოსავლიდან.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებმა, საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებას, რომლებიც შეძლებენ წარმატებით დაიცვან რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში;

ბ) გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენთა შორის, მიაღწიონ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, ახალგაზრდობის სპორტული სკოლებისა და უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლების მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას;

გ) უფრო მეტად ჩაებან ქალები და გოგონები სპორტში; რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ავტონომიურ ოლქში ყოველწლიურად ჩაატარონ შეჯიბრებები, ქალთა სპარტაკიადები.

დ) ყოველმხრივ გაუმჯობესონ მუშაობა სპორტის გავრცელებულ და წამყვან სახეობათა მასობრივი განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპორტის ისეთ წამყვან სახეობებს, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ველოსპორტი და თანამედროვე ხუთჭიდი; უფრო ფართოდ დანერგონ მასობრივი კროსების, ესტაფეტების, ლაშქრობების ჩატარება ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებსა და ქალაქებში;

ე) არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად უზრუნველყონ სპორტის ტექნიკურ სახეობათა პოპულარიზაცია სპორტის ამ სახეობათა დანერგვის და განვითარების მიზნით;

ვ) ადგილებზე მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ სპორტულ სახეობათა მიხედვით მწვრთნელების, მეთოდისტების, ფიზკულტურული კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

4. ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საკითხების მეცნიერული დამუშავება, მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის თანამედროვე პრაქტიკის მეცნიერულ საფუძველზე განზოგადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სკოლებსა და სასწავლებლებში, გაზარდონ სკოლებისა და სასწავლებლების დირექტორთა, ფიზკულტურის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სკოლებში სპორტული მუშაობის დაყენებისათვის; მეტი რაოდენობით შექმნან სპორტული განხრით სპეციალიზებული ინტერნატები და სპორტული სკოლები, სერიოზული ყურადღება მიაქცინონ მათ სწორად დაკომპლექტებას; ყოველმხრივ გააფართოონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელი მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში;

ბ) მიიღონ ზომები სპორტული ბაზების გაფართოებისათვის; არ დაუშვან ახალი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა ან საექსპლუატაციოდ მიღება სპორტნაგებობათა გარეშე;

გ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში ფიზკულტურული მეცადინეობის და თამაშობების ჩატარებას.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა დაქვემდებარებაში იმყოფება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, დასახონ ღონისძიებანი სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტული ბაზებითა და ინვენტარით უზრუნველსაყოფად, არდადეგების პერიოდში სპორტული ბანაკების მოსაწყობად.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის გაშლის, ფიზიკურ აღზრდაზე და სპორტზე საექიმო კონტროლის გაუმჯობესებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამკურნალო ფიზკულტურის ფართოდ გამოყენების მიზნით; ზომები მიიღონ საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერების ქსელის გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

8. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, ტრესტ „საქჰიდროენერგომშენმა“ საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან ერთად მიიღონ სათანადო ზომები სპორტული ბაზების მშენებლობის გასაუმჯობესებლად. არ დაუშვან ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა. უზრუნველყონ დადგენილ ვადებში იმ ობიექტების მშენებლობის დამთავრება, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების გუნდების მოსამზადებელ ბაზას.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დაქვემდებარებულ საწარმოებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, როგორც მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის

11.030

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო საშუალებას. საწარმოების მიერ კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისას გათვალისწინებულ იქნეს ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ გაშლისათვის სათანადო პირობების შექმნის საკითხები.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და სამომხმარებლო კოოპერაციამ გაუთმობებსონ სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ფიზკულტურული კოლექტივების მომარაგება სპორტული ფორმებითა და ინვენტარით, ამასთან, სპეციალურად შეისწავლონ და დასახონ ღონისძიებანი სპორტსაქონლით ვაჭრობის გასაუმჯობესებლად.

11. დაევალოს გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს უკეთ გააშუქონ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის პროპაგანდას, სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ლიტერატურის გამოცემას სპორტის ცალკეულ საკითხებზე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილების საფუძველზე დასახოს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი; ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკაში ფიზკულტურის კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების, სპორტული ბაზების მშენებლობისა და ფიზკულტურის ორგანიზაციების სპორტინვენტარით უზრუნველყოფის საკითხებს.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და ამალი სპორტული მიღწევებით შეხვდებიან მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოფენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

125 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივი კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიების ანგარიშები, აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ორივე კომისიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მშენებლობის ხარისხის, კომუნალური მომსახურების, დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისა და მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კომისიები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სამუშაო გეგმის შესაბამისად, საკითხების მომზადებაში ფართოდ აბამენ დეპუტატებს, რესპუბლიკის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს ორ წელზე მეტს, აღნიშნულმა კომისიებმა შეისწავლეს და განიხილეს მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა და განიხილა რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ წყალსადენის ქსელის მშენებლობის, ქ. ფოთსა და ქ. ცხინვალში მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საკითხები, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ 1967 წლისა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ 1968 წლის მშენებლობის გეგმათა შესრულების და ქ. რუსთავში საბინაო მშენებლობის მიმდინარეობის საკითხები და სხვ.

ამავე კომისიამ გასული წლის მაისს გამსვლელი სხდომა გამართა ქ. გორში, სადაც განხილულ იქნა ქალაქის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების მდგომარეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივმა კომისიამ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის სხვა დაწესებულებათა მუშაკების მონაწილეობით განიხილა სოფლად კინომომსახურების მდგომარეობის, კულტურის ძეგლთა დაცვის, სიღნაღის რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის, აჭარის ასსრ სახელმწიფო, ქუთაისის და თელავის ეთნოგრაფიული მუზეუმების და რესპუბლიკის სახალხო უნივერსიტეტთა მუშაობის საკითხები.

კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებისათვის კონსულტაციებისა და მოხსენებების ჩასატარებლად კომისიამ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მიავლინა მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი.

ამასთან ერთად, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივი კომისიები ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ იყენებენ დებულებით მათთვის მინიჭებულ უფლებებს კონტროლი გაუწიონ ხელი შეუწყონ სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანოების მუშაობას. კომისიების ყველა წევრი აქტიურად არ მონაწილეობს საკითხების შესწავლა-განხილვაში, კომისიები არ აწესებენ სათანადო კონტროლს თავიანთი რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვისა და შესრულებისადმი, არა აქვთ მჭიდრო კავშირი ადგილობრივი საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის და კულტურის მუდმივი კომისიების საქმიანობა.

2. დაევალოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიას თავისი საქმიანობით უზრუნველყოს მშენებლობის, დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო და კოოპერაციული მშენებლობის გეგმების შესრულებას, მშენებლობათა ხარისხის შემდგომ ამაღლებას, კომუნალური დანიშნულების ობიექტთა საქმიანობის გაუმჯობესებას.

3. დაევალოს კულტურის მუდმივ კომისიას თავისი საქმიანობით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოსახლეობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას და კულტურული დონის ამაღლებას, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას, ამ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებას და თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობის გაძლიერებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხების დროულად შესწავლა-განხილვის საქმეს; მიიღონ სათანადო ზომები მათ შესასრულებლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს სათანადო კონტროლი დაუწესონ სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში მათი რეკომენდაციების შესრულებაზე. პერიოდულად მოისმინონ ინფორმაცია კომისიების მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელების მიმდინარეობის შესახებ; თვითონ საქმიანობაში ფართოდ ჩაებან სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

126 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 20 თებერვლის გრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

127 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 19 მარტის გრძანებულება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

128 „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის განყოფილებისა და საბინაო და სააგარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 19 მარტის გრძანებულება „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის განყოფილებისა და საბინაო და სააგარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

129 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე, 81-ე, 102-ე და 104-ე მუხლებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1969 წლის 19 მარტისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

1969 წლის 25 აპრილისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“;

1969 წლის 28 მაისისა — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნის წესის შეცვლის შესახებ".

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 50-ე, 81-ე, 102-ე და 104-ე მუხლებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე" და ამ მუხლის სიტყვების: „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე";

ამავე მუხლის სიტყვების: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი";

81-ე, 102-ე და 104-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 81.** სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამტკიცებით, ქმნის აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს";

„**მუხლი 102.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები რაიონის მეურნეობის პირობებისა და თავისებურებების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამტკიცებით, ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს;"

„**მუხლი 104.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქალაქის მეურნეობის პირობებისა და თავისებურებების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამტკიცებით, ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

130 საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრისა და უწყების ხელმძღვანელის გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969 წლის 25 თებერვლისა — ამხ. ვასილ ალექსანდრეს ძე **ჩოფიკაშვილის** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1969 წლის 19 მარტისა — ამხ. გივი შალვას ძე **მიქელაძის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1969 წლის 25 აპრილისა — ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **ბარძიმოვის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ;

1969 წლის 15 მაისისა — ამხ. დამიანე ვლადიმერის ძე **გოგოხიას** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1969 წლის 15 მაისისა — ამხ. ზურაბ გიორგის ძე **ასვლედიანის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1969 წლის 12 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

131 **დეპუტატ დ. დ. დიასამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი დავით დურსუნის ძე **დიასამიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 11 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

132 **დეპუტატ ვ. ა. ჩოფიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს დეპუტატი ვასილ ალექსანდრეს ძე **ჩოფიკაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

133 დეპუტატ თ. ი. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი თეიმურაზ ილიას ძე **მოსაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად და გათავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

134 დეპუტატ ზ. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ზურაბ სერგოს ძე **ჯაფარიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

135 დეპუტატ დ. გ. აბუთიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს დეპუტატი დავით გიორგის ძე **აბუთიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

136 დეპუტატ ნ. დ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩეულ იქნეს პოდარ დავითის ძე ბერიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

137 დეპუტატ გ. ლ. ნადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს დეპუტატი გიორგი ლევანის ძე **ნადაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

თბილისი, 1969 წლის 12 ივნისი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

138 საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

გეოლოგიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის** საპატიო წოდება:

1. მაყვალა ვასილის ასულ **აზმაიფარაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს თემატური პარტიის უფროს გეოლოგს.

2. დავით გრიგოლის ძე **ამაშუკელს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსს.

3. ბიკენტი ლეონტის ძე **არეკვაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს.

4. რახილ რაფიელის ასულ **ბარსკიანს** — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების“ ჯგუფის უფროს გეოლოგს.

5. ვლადიმერ ბავლეს ძე **ბერკაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსს.

6. ზაქარია აბრამის ძე **ბიჟინაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს თემატური პარტიის უფროსს.

7. ალექსანდრე გიორგის ძე **ბურჯანაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს საცდელ-მეთოდური პარტიის მთავარ ინჟინერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ლეონიდე არკადის ძე **გეგეჭკორს** — საქართველოს სსრ საშინაო მეურნეობის ჭრეწველობის სამინისტროს გეოლოგიურ-საძიებო კანტორის უფროსს.

9. გიორგი ადამის ძე **გერსამიას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს.

10. ალექსანდრე მიხეილის ძე **გიორგობიანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ექსპედიციის მთავარ გეოლოგს.

11. ევგენია მიხეილის ასულ **გოლუბევას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს თემატური პარტიის **უფროს** გეოლოგს.

12. თამარ გიორგის ასულ **გომელაურს** — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების“ გეოლოგიური პარტიის უფროს გეოლოგ-მინერალოგს.

13. დავით ანტონის ძე **დვალაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსს.

14. ვახტანგ ნიკოლოზის ძე **დუმბაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა **საბჭოსთან** არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს.

15. ივანე ათანასეს ძე **დუნდუას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსს.

16. კარლო გიორგის ძე **ეკიზაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სადგურის უფროსს.

17. ანა არტაშის ასულ **ვართანიანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

18. ოთარ ელიაზარის ძე **იაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ხელმძღვანელი კადრების განყოფილების უფროსს.

19. ელენე ვლადიმერის ასულ **კალინინას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-აგეგმვითი პარტიის მთავარ გეოლოგს.

20. შალვა ირაკლის ძე **კაპანაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს კომპლექსურ-გეოლოგიური ექსპედიციის სამთო სამუშაოების ტექნიკურ ხელმძღვანელს.

21. რებეკა სოლომონის ასულ **მოსტოვლიანსკაიას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს თემატური პარტიის მთავარ გეოლოგს.

22. ვახტანგ ივანეს ძე **ნაცვლიშვილს** — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქსახპროექტის“ მთავარ სპეციალისტს, ჰიდროგეოლოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ნინო გრიგოლის ასულ **ოსიტაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროს გეოლოგს.

24. ლეონიდ გიორგის ძე **ჟამგოცევს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციის მთავარ ინჟინერს.

25. ტიგრან მიხეილის ძე **სტეპანიანს** — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების" გეოლოგიური განყოფილების უფროსის მოადგილეს.

26. ქეთევან ილარიონის ასულ **ტოგონიძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის გეოლოგს.

27. ვასილ ვასილის ძე **ფანცულაიას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს თემატური პარტიის უფროსს.

28. ოთარ ივანეს ძე **შირიაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-აგეგმვითი პარტიის უფროსს.

29. იასონ მელიტონის ძე **ჩარგეიშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს.

30. ნიკოლოზ თადეოზის ძე **ჩოლოყაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიის მთავარ გეოლოგს.

31. ქეთევან გიორგის ასულ **ჩუბინიშვილს** — ნავთის გეოლოგიურ-საძიებო საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს კომპლექსური ლაბორატორიის უფროს მეცნიერ მუშაკს.

32. ია ბაგრატის ასულ **ხარატოვას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს თემატური პარტიის მთავარ გეოლოგს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოზენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავალიანი.

თბილისი, 1969 წლის 5 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

139 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა:

1. გივი გრიგოლის ძე **გუდავაძეს** — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შოთა გიორგის ძე **მღებრიშვილს** — თბილისის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა:

1. სერგი გრიგოლის ძე **აბრამოვს** — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების ბიუროს უფროსს.

2. ალექსანდრე ვასილის ძე **ანდრეევს** — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მთავარი ტექნოლოგის განყოფილების სექტორის უფროსს.

3. ნიკოლოზ ისაკის ძე **არუთინოვს** — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის" თბილისის სამმართველოს განყოფილების უფროსს.

4. ეზეკი თომას ძე **გიგოლაშვილს** — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის სამანქანო საამქროს ტექნიკური ბიუროს უფროსს.

5. გიორგი ნიკოლოზის ძე **ელიოზაშვილს** — ტრესტ „ამიერკავკასმეტალურგმშენის" საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

6. სავლე ლეონტის ძე **იაკობაშვილს** — პენსიონერს.

7. ჟან სიმონის ძე **ლიტოვკოს** — თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეს.

8. ვაჟა აბესალომის ძე **მალრაძეს** — ტრესტ „საქმშენინდუსტრიის" მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

9. ალექსანდრე ამბაკოს ძე **მაჭარაძეს** — ტრესტ „ორგანიზაციპრომის" ამიერკავკასიის სპეციალიზებული გამშვებ-გამწყობი სამმართველოს ქუთაისის ტერიტორიული უბნის უფროსს.

10. რაჟდენ გერასიმეს ძე **მაჩიტიძეს** — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი მეტალურგის განყოფილების უფროსს.

11. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **მელაძეს** — თბილისის ქარხანა „პლასტმასის" განყოფილების უფროს ინჟინერს.

12. კრიმგირეი ალექსანდრეს ძე **მოსეშვილს** — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგეს.

13. სერგი ვასილის ძე **ნაზარიოვს** — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავს.

14. ნოდარ გიორგის ძე **სიხარულიძეს** — რუსთავის ქიმკომბინატის ტექნიკური განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 ივნისი.

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

140 ამხ. ბ. ბ. რაზმაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის უფროსი ამხ. გიორგი გიორგის ძე **რაზმაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 4 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

141 ამხ. ნ. ი. კალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გადამდგარი გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე **კალაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 5 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

142 ამხ. გ. ა. სიმონიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამამულო ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ანალიტიკური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ამხ. გურგენ არკადის ძე **სიმონიანი** — დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 5 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 ამხ. ვ. პ. იურისინოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის თანამშრომელი ამხ. ვასილ პეტრეს ძე **იურისინოვი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 ამხ. ვ. ი. პაპიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საშენ მასალათა მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვახტანგ იოსების ძე **პაპიაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

145 ამხ. ს. ზ. გოგებეჯიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი კვების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, რესტორან „თბილისის" წარმოების გამგე, ოსტატი-კულინარი ამხ. სერგო ზინობის ძე **გოგებეჯიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 28 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად. შემოწმებული საბჭოების აღმასკომთა უმრავლესობამ, დეპუტატებისა და საბჭოს აქტივის მეშვეობით უზრუნველყო უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვა, მათდამი მზრუნველობის განხორციელება.

საბჭოების აღმასკომები პერიოდულად ამოწმებენ და იხილავენ გაშვილებულ, პატრონატისა და მეურვეობის წესით აღსაზრდელად ჩაბარებულ ბავშვთა მდგომარეობის საკითხს. აღმასკომების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, საბჭოების განათლების და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. ამის შედეგად, უმრავლეს შემთხვევაში, შვილად ამყვანი პირები და მეურვეები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათგან საზრუნავ ბავშვთა და მოზარდთა სწავლისა და აღზრდის საქმეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ხაშურის, სიღნაღის და ზუგდიდის რაიონების საბჭოების აღმასკომებმა.

ამასთან ერთად, აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში რიგი ნაკლოვანებანი გაჩნიათ ქ. ჭიათურის, სამტრედიის, სიღნაღის, ონის, ხაშურის და დუშეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს. არ სრულდება სათანადო ინსტრუქციის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა ხელმძღვანელობა გაუწიონ უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ სამ წლამდე ასაკის ბავშვთა პატრონირების საქმეს.

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომს არ განუხილავს აღნიშნული საკითხი და არ მიუღია სათანადო ზომები უდედმამო და უზედამხედველო ბავშვთა მოწყობისათვის.

მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს აგრეთვე დუშეთის რაიონში.

ქ. ჭიათურის, სიღნაღის, ხაშურისა და დუშეთის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს, რომლებიც მოქალაქეებს ჩაბარებული ჰყავთ პატრონატის წესით, პატრონატის ვადის გასვლის შემდეგ არ აწყობენ სასწავლებლებში ან სამუშაოდ და დადგენილი წესის შესაბამისად არ აფორმებენ მათ მოხსნას პატრონატიდან.

ზუგდიდის, სამტრედიის, ონისა და დუშეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს 1968—1969 წლებში არც ერთხელ არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსწავლიათ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის მდგომარეობა.

არადამაკმაყოფილებელია საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების კონტროლი ბავშვთა პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის საქმისადმი.

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, მეურვეობის და შვილად აყვანის შესახებ მიღებული ინსტრუქცია დღემდე არ არის დაგზავნილი ადგილებზე.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა საგარეჯოს რაიონში. პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დროულად დანიშვნის, გაცემისა და მრავალშვილიანი დედების დაჯილდოებისათვის.

საგარეჯოს რაიონში სახელმწიფო ფულად დახმარებას ღებულობს 933 მრავალშვილიანი და 43 მარტოხელა დედა. მარტო გასულ 1968 წელს დახმარება დაენიშნა 434 დედას, რომლებმაც ერთდროული დახმარების სახით მიიღეს 25.530 მანეთი.

1968 წელს რაიონში დაჯილდოვდა 145 მრავალშვილიანი დედა, აქედან, „გმირი დედის“ სპატიო წოდება მიენიჭა ორს, I ხარისხის „სახელოვანი დედის“ ორდენით დაჯილდოვდა 8, მეორე ხარისხის ორდენით — 11, მესამე ხარისხის ორდენით — 20 დედა, I ხარისხის „დედობის მედალი“ გადაეცა 49-ს, ხოლო მეორე ხარისხის მედალი — 55 დედას.

რაისაბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის აპრილში მოაწყო სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა და მდივანთა თათბირ-სემინარი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ კანონის თაობაზე. მიუხედავად ამისა, საგარეჯოს რაიონულ და სასოფლო საბჭოებს გაეჩინათ ნაკლოვანებანი როგორც მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დროულად დანიშვნა-გაცემის, ისე მრავალშვილიანი დედების დაჯილდოებისა და მათთვის მთავრობის ჯილდოების ჩაბარების საქმეში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა დედებისათვის ფულადი დახმარების დროულად ჩაბარებას.

მეტი ყურადღება სჭირდება დედების აღრიცხვა-დაჯილდოების საქმეს. გასულ წელს რაიაღმასკომმა ჯილდოზე დაგვიანებით წარმოადგინა 65 დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და ჯილდოზე წარმოდგენისათვის არავითარ მუშაობას არ ეწევიან რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომები.

სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონის შესაბამისად სასოფლო საბჭოები მრავალშვილიან დედებს სათანადო ჯილდოზე არ წარადგენენ რაიონული საბჭოს აღმასკომში. რაიონში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული საბავშვო დაწესებულებათა მუშაობა, ნაკლოვანებებით ხასიათდება მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურება. ზოგიერთ სასოფლო სამედიცინო პუნქტში დღემდე დაუკომპლექტებელია პედიატრის საშტატო ერთეულები. იორმუღანლოში კი, სადაც 14 წლამდე ასაკის 4000 ბავშვი ცხოვრობს, არ ჰყავთ არც ერთი პედიატრი.

მიუხედავად დიდი საჭიროებისა იორმუღანლოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა არ ზრუნავს ბაგა-ბაღების მშენებლობისათვის.

არადამაკმაყოფილებელია რაიონის საბავშვო დაწესებულებათა კვების პროდუქტებით, განსაკუთრებით ხილითა და ბოსტნეულით მომარაგება.

აღნიშნულ ნაკლოვნებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კონკრეტული დავალებები მისცა მშრომელთა დეპუტატების საგარეჯოს რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და კავშირგაბმულობის სამინისტროებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საკანონმდებლო განზრახულებათა, ჯანმრთელობის დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების სხდომები.

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ განიხილა დეპუტატ მ. შინგელიას მოხსენება ქ. ფოთის კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ამ უკანასკნელ წლებში ქ. ფოთში ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. სათანადო ყურადღება ექცევა ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობას, წყალსადენის ქსელის და ელექტრომეურნეობის მოწესრიგებას, მაგრამ ამასთანავე მოუვლელი და მოუწყობელია ზოგიერთი ქუჩა, არადამაკმაყოფილებლად სრულდება ქუჩების მშენებლობის და შეკეთების გეგმები, ნაკლოვანებებია ქალაქის დასუფთავებაში, არ სრულდება კომუნალური სახლების კაპიტალური რემონტის გეგმა, არადამაკმაყოფილებელია ჩატარებული რემონტის ხარისხი. მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტი ვერ ასრულებს წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობის გეგმას, ჭიანურდება წყალსადენის რეზერვუარების მშენებლობა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. პაატაშვილი, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თა-

ვმჯდომარის მოადგილე გ. ტურძელაძე, მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები თ. მოსაშვილი, ვ. გოცირიძე, ზ. ჯაფარიძე და სხვები.

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის მოხსენება რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეფუტკრეობის განვითარების მდგომარეობის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა, რომ მეფუტკრეობის განვითარებაში გარკვეულ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის რაიონებში საგრძნობლად შემცირდა ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა. ზოგ რაიონში დაბალია თაფლის მოსავლიანობა, რის შედეგადაც, ხშირად, დანახარჯები თითოეულ ოჯახზე ბევრად აღემატება შემოსავალს. მცირე რაოდენობით ჰყავთ ფუტკარი მაღალმთიან რაიონებში, მაგალითად ახალქალაქის რაიონის 44 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობიდან მხოლოდ 4 მეურნეობას ჰყავს ფუტკარი, ბოგდანოვკის რაიონში — ორს, ხოლო დუშეთის რაიონში მხოლოდ ერთ კოლმეურნეობას.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მეფუტკრეობის განვითარებას.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: შ. გრძელიშვილი, ა. მაკაროვი, ი. შაკაია, შ. ვერულაშვილი, შ. ყამბარაშვილი და სხვები.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. დანელიას მოხსენება რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ ფორმაზე გადასვლის მდგომარეობის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა, რომ ვაჭრობის სამინისტრომ და სამომხმარებლო კოოპერაციამ გარკვეული მუშაობა გასწიეს სავაჭრო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების გადასაყვანად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ ფორმებზე.

სავაჭრო ორგანიზაციებში განხორციელებულმა ახალმა ეკონომიურმა რეფორმამ დადებითი გავლენა იქონია შიდა რეზერვების სრულად გამოვლინებასა და გამოყენებაზე, საქონელბრუნვის ზრდასა და სტრუქტურის გაუმჯობესებაზე. მაგრამ ამასთანავე აღნიშნა, რომ ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირის“ გამგეობას ახალი სამეურნეო რეფორმის დანერგვაში აქვთ რიგი ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია საქონელბრუნვისა და საკუთარი პროდუქციის გადიდების ტემპები, სავაჭრო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ასრულებს საქონელბრუნვის გეგმებს.

სრულყოფილად არ არის ათვისებული ქსოვილების, ფეხსაცმლის, შეკერილი ტანსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის საბაზო ფონდები. ძალზე ნელი ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მპით მიმდინარეობს სავაჭრო ობიექტებში შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვა, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ძირეულ რგოლებში ეკონომიური მუშაობის ფართოდ გაშლას.

დაგეგმვის ახალ ფორმაზე გადასული სავაჭრო ორგანიზაციების უმრავლესობაში არ არის შექმნილი მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: ა. შადური, რ. ელიგულაშვილი, ო. საბაშვილი, ს. ჭკადუა და სხვები.

საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. კარანაძის ინფორმაცია სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ბ. ჟღენტი, ზ. რატიანი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლ. საყვარელიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე, პროფ. თ. წერეთელი და სხვები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნულმა მუდმივმა კომისიებმა განხილული საკითხების გამო მიიღეს სათანადო დადგენილებანი.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივმა კომისიამ განიხილა საკითხი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმისათვის.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა შ. ყარყარაშვილმა. აღინიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აქტიურად ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით იგი უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, ბევრი სასარგებლო საქმის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორია.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის შრომა დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 17 ახალგაზრდა მოწინავეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, ასობით ქალაქი და ჭაბუკი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. დამახასიათებელია, რომ რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება მოსწავლე ახალგაზრდობის რიცხვი და 1968-69 სასწავლო წელს იგი შეადგენდა 1.137,1 ათასს.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის ახალგაზრდობა სულ უფრო მეტ მონაწილეობას იღებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობაში. ახალგაზრდა დეპუტატები, რომელთა რიცხვი 10 ათასს აღემატება, მრავალრიცხოვან აქტივთან ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს სახალხო განათლების, კულტურის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათში გამოვიდნენ კომისიის წევრები, დეპუტატები ს. ჭილაია, ს. ლურმა-შიძე, ვ. ღოლობერიძე, ვ. ჯანჯღავა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების გამგე შ. ხელაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე შ. თევდორაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

კომისიამ მიიღო რეკომენდაციები ახალგაზრდა დეპუტატებთან და ახალგაზრდობასთან ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

სხდომამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ბერიანიძის ინფორმაცია მომავალი მუშაობის შესახებ და დაამტკიცა კომისიის მუშაობის 1969 წლის მეორე სახევრის გეგმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 265 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	. . . . .	15
ქ. რუსთავიდან	. . . . .	4
ქ. ჭიათურიდან	. . . . .	21
ადიგენის	რაიონიდან	9
ახალქალაქის	„	13
ახალციხის	„	11
ბოგდანოვკის	„	15
ბოლნისის	„	37
გურჯაანის	„	3
დუშეთის	„	10
ზუგდიდის	„	11
თეთრიწყაროს	„	16
თერჯოლის	„	17
ლაგოდეხის	„	14
მცხეთის	„	5
საგარეჯოს	„	29
ყვარლის	„	16
სამხრეთ ოსეთის ა/ო	. . . . .	19

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 6, 19, 25 და 26 ივნისის ბრძანებულებებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

მაიაკოვსკის რაიონში — მაიაკოვსკის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფლები: ნერგეეთი, ზედა დიმი, წყალთაშუა, წაბლარასხევი, ალისმერეთი და შეიქმნა მათგან ნერგეეთის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ნერგეეთში.

ქ. ჭიათურაში — რგანის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ქველთუბანი, ბუნიკაური, ზედა რგანი, ხოლო წირქვალის სასოფლო საბჭოს — სოფელი თაბაგრები და მათგან შეიქმნა სარქველთუბნის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ სარქველთუბანში.

გარდაბნის რაიონში — რაიონის ცენტრი დაბა გარდაბანი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო გარდაბნის სადაბო საბჭო — გარდაბნის საქალაქო საბჭოდ.

ლენტეხის რაიონში — რაიონის ცენტრი სოფელი ლენტეხი გარდაიქმნა დაბად, ხოლო ლენტეხის სასოფლო საბჭო — ლენტეხის სადაბო საბჭოდ.

დუშეთის რაიონში — აღდგენილ იქნა სოფლები ახიელი და ამღა, რომლებიც ადმინისტრაციულად დაექვემდებარნენ ბარისახოს სასოფლო საბჭოს.

კასპის რაიონში — წინარეხის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები გუდალეთი და წიფორი, რომლებიც ადმინისტრაციულად დაექვემდებარნენ კავთისხევის სასოფლო საბჭოს.

კავთისხევის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი იდლეთი და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა წინარეხის სასოფლო საბჭოს.

თელავის რაიონში — ყარაჯალის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი გულგულა და შეიქმნა გულგულის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გულგულაში.

ბოლნისის რაიონში — ქვეშის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ბალიჭი და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა კაზრეთის სადაბო საბჭოს.